ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲜᲐᲮᲐᲢᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲧᲝᲚᲔᲚ ᲙᲕᲘᲠᲐ ᲓᲦᲔ

№ 30 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ 14 1896 Წ. № 30

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ: სხვა-და-სხვა ამბავი.—ეპიფანია ეპისკოპოსის კიპრისა ქვათათვის ა. ხახანაშვილისა.—საყურადღებო ამბები.—ობოლი, ლექსი რუს-იმერელისა.—დელფინი (ზღვის ღორი) და მისი სტუმარი.—შენიშვნები ფ. მახარაძისა.—სახუმარო გასართობი (საზაფხულო სიზმრები), არმენისა.—განცხადება.—

სხვა-და-სხვა ამბავი.

ᲒᲗ იელისს ქალაქის საავათმყოფოს დარბაზში მომხდარმა სანიტარულ-სამკურნალო საბჭოს სხდომამ შემდეგი განკარგულებანი დაადგინა:

1) რადგანაც შაი ლუდის გაშინჯვამ, რომელზც კეთდება გუტბროტის ქარხანაში, არა ერთხელ დაგვიმტკიცა, რომ ის (შაი ლუდი) მაენებელია სიმთელისათვის, ამიტომ დროებით სულ აღიკრძალოს მისი გაყიდვა, სანამ კარგათ გამოიკვლევდეს ამ საგანს საბჭოს ექიმების კომისია.

2) გაიგზავნოს გასაშინჯათ ქიმიურ ლაბორატორიაში ესრეთ წოდებული სპარსული ლიმონადი.

3) საბჭოს ექიმს ბ. კასუმოვს მიენდოს სხვა-და-სხვა გვარი კვასის საკეთებელ ადგილების შეტყობა და გაშინჯვა სანიტარულ-სამკურნალო ინსპექტორის და ქალაქის ქიმიკოსის თანადასწრებით; აგრეთვე გამოკვლევა, თუ რა მასალებიდან კეთდება სხვა-და-სხვა გვარი კვასი და ამის შესახებ თავის დასკვნის წარდგენა სამკურნალო საბჭოში.

4) დამჭკნარი, გაყვითლებული კიტრების, რომლებიც გამოტანილია ბაზარში გასაყიდათ, გადაყრა და საზოგადოთ ყველა ხილეულობის გამყიდველთ ასევე უნდა მოექცენ.

5) სხვა ქვეყნებიდან მოტანილ ლუდის გაშინჯვა.

6) რადგანაც ამ ბოლო დროს ქალაქში გამრავლდა მუცლის ავათმყოფობა, ამიტომ მეტი ყურადღება მიექცეს საჭმელ-სასმელს; ბაზარი დაათვალიერონ ხოლმე საღამოობითაც.

7) წინადადება მიეცეთ საბჭოს ექიმთ, რათა აცნობონ, თუ რომელი ალაგი ან ქუჩა უფრო უწმინდური და უსუფთაოა.

8) წინადადება მიეცეს საბჭოს ექიმს ბ. თარხანოვს წარადგინოს სამკურნალო საბჭოში თავის მოსაზრებანი იმ ზომების შესახებ, რომლებიც საჭირონი იქნებიან რიყის სახლ-ეზოების და სხვა-და-სხვა გვარ შენობების ისე შესაკეთებლათ, რომ ხალხის სიჭთელეს იმათ არა ავნონ რა.

* * *

მუშტაიდის ბაღში დიდ ძალ ხალხს იზიდავს ბავშების ორკესტრი, მეტადრე იმიტომ, რომ ყმაწვი-

ლები გურული ტანისამოსით არიან ჩაცმულნი, თუმცა მათგანი მხოლოთ ორიოდე არის გურული. ყოველ საღამოს 5—6 საათის განმავლობაში დაკვრა ბავშისთვის, ფიზიკური მხრით, მეტათ საგრძნობელია და ამისათვის სასურველია, რომ ყურადღება მიექცეს და ბავშები შეასვენონ ხოლმე.

***

კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის წინადადებით მიწათ-მოქმედების მინისტრს ნება დაურთავს შემწეობათ მიეცეს 1020 მ. ფილოქსერის გამო დაზარალებულ გორის მაზრის ულარიბეს მცხოვრებთ.

***

მოგვივიდა პატარა წიგნაკი (სახალხო ბიბლიოთეკა № 1) ყვითელი სანთელი (პროზა) თხ. ჩვენი პოეტის აკაკისა.

წიგნი სუფთათ არის გამოცემული, შეიცავს 32 გვერდს და ღირს ორი შაური.

***

სურამ-ცხინვალის საფილოქსერო დასს ივლისში ფილოქსერა აღმოუჩენია ყორნისის ხეობაში, ცხინვალის ახლოს, სოფ. წუნარში. იმავე დასს სურამის ახლოსაც ამოუჩენია ფილოქსერა აკოფოვის ვენახში (კავკ. სამეურნ. გაზ.).

***

როგორც გავიგეთ, თბილისის დრამატიულ საზოგადოებას სურს ქუთაისში კომისია ამოირჩიოს, რომელმაც უნდა იყოლიოს მუდმივი დასი და შეინახოს თეატრი.

***

ქ. ოზურგეთის მოურავათ ამოურჩევიათ ნ. ყ. თავდგირიძე, რომელმაც მხოლოთ წელს დაამთავრა სწავლა ოდესის უნივერსიტეტში. ეს ამბავი ფრიად სასიამოვნო და საყურადღებოა, როგორც იმის გამომხატველი, რომ საზოგადოება ნდობით ეკიდება ჩვენ ახალგაზდა განათლებულ თაობას. სასურველია, რომ თვით ნ. თავდგირიძეც ეცადოს არ გაუმტყუნოს საზოგადოებას იმედი და პირნათლათ ემსახუროს იმ ხალხს, რომელმაც მას ასეთი ნდობა გამოუცხადა და თავისი ინტერესების დაცვა მიანდო.

***

მიწათ-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წარმომადგენელმა კავკასიაში წარუდგინა ამავე სამინისტროს მის მიერ შემუშავებული პროექტი სამეურნეო სასწავლებლის დაარსებისა თბილისში. პროექტის ძალით ამ სამეურნეო სასწავლებელში სწავლა გაგრძელდება 5 წელს, იმათში ერთი მოსამზადებელი იქნება. სასწავლებელში მისაღებათ საჭიროა პროგიმნაზიის კურსის ცოდნა. საზოგადო ხასიათის და სხვა-და-სხვა სპეციალური საგნების გარდა აქ ასწავლიან მეაბრეშუმეობას, მეფუტკრეობას, მეღვინეობას, მევენახეობას, ბაღოსნობას. განსაკუთრებული ყურადღება ექნება მიქცეული სამხრეთ ქვეყნების მცენარეთა გაშენებას. ამ სასწავლებელში სწავლა დამთავრებულთ ნება ეძლევათ სწავლის გაგრძელებისა სამიწათ-მოქმედო სამინისტროს სხვა-და-სხვა მაღალ სასწავლებლებში და სამეურნეო ინსტიტუტში კი უპირატესობა ექმნებათ სხვა სასწავლებელთა შეგირდებთან. ამ სასწავლებლის გახსნისათანავე, უნდა დაიხუროს ახლანდელი საბაღოსნო სკოლა.

***

მოგეხსენებათ, რომ თბილისის სამოქალაქო სამკურნალო, რომელიც უკურნებლათ ქმნის უმეტეს აქ მომსვლელ ავათმყოფთაგანს, ბოგანო ხალხისათვის არის დაარსებული განურჩევლათ ეროვნებისა და წოდებისა; მაგრამ სულ წინააღმდეგს კი ვხედავთ... უკიდურეს მდგომარეობამდე მისული ბოგანო ხალხი დილის 8 საათზე მიდის ამ სამკურნალოში იმ განზრახვით, რომ თავს უშველოს. რვა საათზე, როგორც წესდება უჩვენებს, ჩაწერენ მსურველებს ავათმყოფთა სიაში (ყველაზე გვიან მოხვდებიან ქართველები). შემდეგ ავათმყოფნი სასოებით ელოდებიან ექიმების მობრძანებას, რომლებიც წესით და სამართლით 9 საათზე უკვე ავათმყოფებს უნდა შინჯავდენ. მაგრამ ნუ მოგეცათ რისხვა: ეს ბატონები ძლიერ კარგი, თუ შუადღის პირველ საათზე გამოჩნდენ. თუ რა შედეგი მოჰყვება ექიმების ასე გვიან მობრძანებას, ამას მკითხველიც მიხვდება; ავათმყოფს შეხედვენ შორიდან, ჰკითხავენ ერთ რამეს და მორჩა და გათავდა: „რეცეპტი“ მზათ არის. ასე, რომ ნახევარ საათში რამდენი ავათმყოფი გნეპავთ, რომ ამგვარათ არ გაშინჯონ... უბედურება კიდევ ის არის, რომ ეს ამოდენა დასუსტებული ხალხი წამლების გაკეთების ლოდინში იტანჯებიან. აბა, თქვენ წარმოიდგინეთ, დილის 8 საათიდან ავათმყოფი ხალხის შუადღის 3 საათამდე ერთათ ყოფნას რა ცუდი შედეგი უნდა მოჰყვეს: ავათმყოფნი კიდევ უარესათ ხდებიან, რასაც მოწმობენ იქაური ფერშლები და მსახურები. ავათმყოფთა სიაში ჩაწერაც ხომ მეტათ ძნელია. ზოგს მოწმობით და ათასგვარი დავიდარაბითაც

არ ღებულობენ და ზოგს კი ერთი სიტყვის მეტიც არ ეხარჯვის. ყოველ შემთხვევაში კი ეროვნებას ძლიერ ყურადღებას აქცევენ. თუ ვინმე ავათმყოფთაგანს სიმწუხარის გამო საყვედური წამოცდა აქაური მოსამსახურეების შესახებ, ვაი მისი ბრალი! ავათმყოფობა და წამალი კი არა, თავს ოხრათ მოუქცევენ... ამ სამკურნალოს წესდება სხვათა შორის, იმასაც ამბობს, რომ ყველა ავათმყოფი 12 საათამდე უნდა გაშინჯული იქნეს ექიმების მიერ, მაგრამ როგორც ზევით ვამბობდით მესამე საათამდისაც არ თავდება ეს აქაური თავისებური გაშინჯვა.

მეთვალყურე.

ეპიფანია ეპისკოპოსის კიპრისა ქვათათვის.

II

„კვალში" ჩვენ მოვიყვანეთ ერთხელ „შელოცვანი", რომელნიც ამოწერილი გვქონდა სხვადასხვა კარაბადინებიდან. ახლა მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას ძველი დროებიდან გავრცელებულ ცნობას ძვირფას ქვათა საექიმო მნიშვნელობაზე. ამგვარი ცნობა ქართულ ენაზე, როგორც შევნიშნეთ ჩვენ წიგნში „Очерки по исторіи грузинской словесности" (თავი—„Рай и драгоцѣнные камни") გადმოტანილია საქართველოში და რუსეთში საბერძნეთიდან. ესრეთ წოდებულ „არჩილის ხრონოგრაფში" სრულიად მოყვანილია ქვათა აღწერილობა და მნიშვნელობა.

„სარიდიონ, რომელიც არს ბრწყინვალე და ჰკურნებს სიმსივნესა და წყლულებსა, რომელნიცა იქმნებიან რკინათა მიერ.—ტანზაზი—ესე არს ფრიად კეთილ, ხოლო მკურნალნი გალესვენ სალესავსა ზედა და გამოვალს მის მიერ წყალი, რომელიცა სარგებელ ეყოფის ტკივილს თვალისასა და მათცა, რომელნი შეირყევიან ჭკუისაგან.—ზმარალდო არს, რომელსა შინა იხილვენ კაცნი სახეთა მათთა მწვანედ.—ანთრაკი არს ძოწეულის ფერი და იპოვებს იგი ღამე, ხოლო მუნ, სადაცა იპოების ჩანს შორიდან, ვითარცა ნაკვერჩხალი გამოაკრთობს ნაპერწკალს და ბრწყინვალებითა მისითა სცნობენ და მიიღებიან.—საპფირონი - ესე არს ლურჯი და არს სხვა ფერისაცა, თეთრი; ამას გალესვენ და წყალსა მისსა გაურევენ მრავალ ფერთა წამალთა შინა, ხოლო ტკივილსა მას ტანისასა, რომელნიცა მოუხდებიან კაცთა, ჰკურნებს მათ.—იასპი—ესე არს კეთილმყოფელ მათთვის, რომელნიცა სამთავრო (თუ სამთვარო?) საეშმაკო განა თუ რეტიანობაჲ (სჭირთ).—იაკინთი—ესე უზესთაესად სყირმიზობს და კეთილსა უყოფს დედათა, რომელნიცა ვერ შემძლებელ არიან შობად და ოდესცა დაადვან იგი, მეყსეულათ ჰშობს.—ახატი—ხოლო ესეცა წითელი არს; კაცს, ოდესცა უცემს, განა სხვამან და დაუსვან იგი შუბლსა ზედა მისსა, მეყსეულათ ჰკურნებს.—დაუთრობელი—ესეცა წითელი არს და უკეთუ ვისმე ეპყრა ხელთა მისთა არს და ითრობს იგი, რაოდენიცა სვას.—ოქროს ლოდი ოქროს ჰფერობს, ესე უკეთუ გალესოს ვინმე, ჰკურნებს შარიმას ქვათა და თირკმელთა შთაცვივნასა, ოდესცა შეუხუთავს ასოთა შარდსა.—კირილიოს—ესე არს ტკბილი.—ონისიონ—ესე არს მოწითლო".

შემდეგ მოყვანილია ებრაულათ ზემო მოყვანილი ძვირფასი ქვების სახელები.

ა. ხახანაშვილი.

საყურადღებო ამბები.

კახეთი. კახეთი ცუდ გუნებაზეა... ან რატომ არ იქნება ცუდ გუნებაზე, როდესაც იმისი მაცხოვრებელი და მაცოცხლებელი—კახური მხარს აღარ უჭერს: შარშან ხომ არა მოვიდა რა და ლამის წელსაც იგივე დაემართოს; ბევრი ზვარ-ვენახი ჩარეგვა სეტყვამ ისე, რომ პატრონს საგაისოთაც აღარ გამოადგება; დანარჩენ ალაგას კი თითქმის დაისვრიმებული მარცვალი გაცვინდა... პურის მოსავალმაც უმტყუნა კახეთს: აუარებელი წვიმების გამო ყანებს გუდა ფშუტა მოედვა, ხოლო ზოგიერთ ალაგას ყანა მეტათ აღელდა, აყალდა და ნაწილი კი ვერ ჩაიდვა.

ამ გაჭირების დროს საუფლისწულო მამულები კარგ სიკეთეს უშვრება კახეთის ეკონომიურათ დაქვეითებულ ხალხს: თითქმის მთელი წლის განმავლობაში არის მუშაობა ამ მამულებში, სადაც ათასობითა მუშაობს კაცი, ქალი და გოგო-ბიჭები... ესენი თუმცა ბლომათა შოულობენ ფულს, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ეს ფულიც ვაჭარმედუქნეების ხელში გადადის. გარდა ამისა, მუშები შორეული სოფლიდანაც მოდიან, მაგ., ქიზიყიდან, რომლებიც იძულებული არიან კვირა-უქმე დღე სამიკიტნოებში გაატარონ. ამის გამო სხვა-და-სხვა მავნე ჩვეულებაც იკიდებს მათში ფეხს, მაგ. ლოთობა.

ამ ბოლო დროს ძალიან გამრავლდა ქალაქებში საკვირაო სკოლები, მაგრამ მე მგონია, რომ არც სოფელშია ურიგო საკვირაო სკოლა. მომეტებულათ იმისთანა სოფლებში, როგორიც არიან წინანდალი,

ნაფარეული და სხვა საუფლისწულო სოფლები, სადაც აუარებელი შეუგნებელი და ანბანის უცოდინარი ხალხი ტრიალებს კვირა-უქმე დღეს.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ზემოხსენებული სოფლების ინტელიგენცია მიაქცევს ყურადღებას ამ ბეჩავ ხალხს და ანბანს შეასწავლის მას კვირა-უქმე დღეობით.

კარგი იქნებოდა აგრეთვე, რომ ადგილობრივ მუშებმა თავიანთი დუქანი თუ არა, პურის საცხობი მაინც იქონიონ.

ერთი სამუშაო ალაგი კიდევ გამოუჩნდა კახეთის გაჭირებულ ხალხს—ეს არის დაღესტნის შოსსე, რომელიც გადაივლის კავკასიის ქედზე და კახეთს დაღესტანთან შეაერთებს. ამ გზის გაყვანა მინდობილი აქვს ინჟინერ თავ. ანდრონიკაშვილს. გზის გაკეთება ჩვეულებისამებრ ნაწილ-ნაწილათ აუღიათ წვრილმან მოიჯარადრეებს. ერთი ნაწილი სხვათა შორის აუღია ვიღაც ლეკს, ადალას, რომელსაც თავის მხრივ გასაკეთებლათ მიუცია 8 მუშისათვის თექვსმეტი თუმანი. ამ მუშებთა შორის ურევია ერთი ხევსური—გვარათ ფიცხელაური. ამას წინეთ გავლით კახეთში ვიყავი; ალაზნის პირათ დუქანში დავინახე ერთი კაცი, რომელიც გარეგნობით მთიელსა ჰგავდა. გამოვკითხე და მართლა ხევსური გამოდგა—გიო ფიცხელაური, ზემოხსენებული ფიცხელაურის ძმა, რომელიც ფულისათვის ჩამოსულიყო თავის ძმასთან, მაგრამ დაღონებული და დაძმარებული ხელცარიელი მიდიოდა უკან სიცხისაგან გალექებული მთის შვილი, რადგანაც გიოს ძმას ერთი თვის წინათ დამთავრებული საქმის ფული ჯერაც არ მიეღო: ღერენალი არ მოსულა, მე თვითონ ფული არ მიმიღია და აბა რა მოგცეთო—ასე გვეუბნება ის ლეკიო. მაგრამ ტყუისო, დაუმატა ფიცხელაურმა, მარტო ჩვენებს კი არა, ყველა მუშებს ასე ატყუებენ—ამუშავებენ და ფულს კი არ აძლევენ.

ი. გ—რი.

*
* *

სოფელი იანეთი (ქუთაისის მაზრა). ეს მეორე წელიწადია, რაც ჩვენ გვეწვია მიწის მზომელი, რომელიც მუშაობს მხოლოთ ზაფხულობით, როდესაც გლეხებს, სრულიად მოცლა არა აქვთ. პირველათ მან გამოგვიცხადა, რომ უნდა დავმიჯნო კერძოთ ყველა ამ სოფლის მფლობელთა მაწებიო, მაგრამ, რადგანაც ამას მთელი საუკუნე მოუნდებოდა, ვთხოვეთ—ირგვლივ დაემიჯნა მთელი სოფელი, როგორც საერთო მამული; ისიც დაგვეთანხმა, და ამნაირათ, ვფიქრობთ, წელს დაასრულებს მუშაობას. ყოველ დღე ათი კაცი, ორი ცხენი და ერთი ურემი უნდა გამოვიდეს სოფლიდან; აგრეთვე დამიჯნვის დროს უნდა დაესწრონ მოსამზღვრე სოფლელებიც და ასე დღეში მოცდენილია მუშაობას ორმოც თუ სამოც კაცამდე. „ხვალ დილით ადრე წაჰყევ“ „ექვევანიას“ ბარით და წალდით,—უყვირის სოფლის მოხელე მუშაობისაგან მოქანცულ გლეხს.—„რა დროს „ექვევანიეა“, შე კაცო, სიმინდი გაუმარგლელი მიფუჭდება“—ეუბნება გლეხი.—„არ შეიძლება, დეისტრაფებიო“—უმეორებს მოხელე და მიდის მეორესთან გამოსაწვევათ და იქაც იგივე ისტორიაა.

ხონის მეაბრეშუმეთა პირველმა ამხანაგობამ წელს ბევრი ყაჭის თესლი დაარიგა ამ სოფელში და, როგორც ეტყობა, საღი თესლი ყოფილა, რადგანაც მოსავალს კარგი პირი უჩანს. თითოეულ თესლის ზარდანჩას (კოლოფი) ამხანაგობა ყიდის 2 მ. 40 კაპ., ხოლო მყიდველს შეუძლია, ნაცვლათ ამ ფულისა, გამოიღოს მეოთხედი მოსავლისა; ჩვენი ფიქრით, ეს მეტათ ბევრია, საკმაო იქნებოდა მეხუთედი ნაწილიც, რადგან ამ წილითაც თითოეული ზარდანჩა 4—5 მ. დაუჯდება ამხანაგობას. ყოველ შემთხვევაში, დიდი მადლობის ღირსია ჩვენგან მმართველი ამხანაგობისა, ბ. წერეთელი, რომელმაც საღი თესლის მოპოებით საშუალება მისცა მუშა ხალხს ორიოდე გროშის შეძენისა ამ საშინელ უფულობის დროს. მკითხველებმა იციან, რომ ამ სამი-ოთხი წლის წინეთ გამოყვანილ იქმნა ცხენის-წყლის ერთი ნაწილი, რომელიც საკმაოთ რწყავს ყველა ცხენის-წყლისა და გუბო-წყლის შუა მდებარე სოფლებს, რასაც დიდი სარგებლობა მოაქვს მცხოვრებთათვის. რამდენი მინდორი, წინეთ სრულიად უნაყოფო, გადაბიბინებულა მწვანე ყანებით, რამდენი წისქვილი ტრიალებს და სხვა; მაგრამ ჩვენ, იანეთლები, მოკლებული ვართ ყველა ამ სიკეთეს: ჩამოაწევს რა ეს წყალი ჩვენში, ერთბაშათ ზურგს შეგვაქცევს და მიეშურება ბბ. ჯანელიძისა და ქეიშვილის წისქვილის არხში და ჩვენ ყელ-გაუსველებელს გვტოვებს. არა ერთხელ მივმართეთ თხოვნით, ვისთანაც ჯერ-იყო, რათა გატარებულიყო ეს წყალი შუა სოფელში, მაგრამ წინეთ გვეუბნებოდნენ, გაყიდულია წყალიო; შემდეგ გვაუწყეს, რომ თუ შევიტანდით საწევრო ფულს და არხებს დავამზადებდით, წყალი მოგვეცემოდა. ასს მანეთამდინ საწევრო ფული გამოვიღეთ, სამი ვერსის მანძილზე თხრილები დავაკეთეთ და წყალს მოველოდით. მაგრამ, როგორი იყო ჩვენი განცვიფრება, როდესაც წყლის ნაცვლათ „ბორჩიკები“ მოგვაყენეს კარზე—ექვს-ექვსი მანეთი გადაიხადეთ კომლზე წყლის სარგებლობისათვისო! წყალი თვალით არ გვენახა და ფულებს კი გვახდევინებდნენ! გაჩნდა „ადვოკატების“ ძებნა და

თხოვნების წერა. აღმოჩნდა სრულიად სიყალბით შედგენილი სიები სარწყავი მიწის რაოდენობისა: ვისაც 1/2 ქცევა ეზოს მეტი არაფერი ებადა, სიაში ნაჩვენები იყო ექვს ქცევა ეზოს მექონედ და ისიც ვითომც წელიწადში სამჯერ მოერწყოს! ამნაირათ დავაჩწიეთ თავი უკანონო გარდასახადს. შედეგი ამისა ის იყო, რომ, წყლის მონაწილეთა უმეტესმა ნაწილმა, შეშინებულმა, რომ კვლავ არ განმეორებულიყო ასეთი სიყალბის მხილება, წყალზე უარი განაცხადა. დანარჩენი მონაწილენი ვთხოულობთ წყალს, მაგრამ თხოვნა ჩვენი ჯერჯერობით რჩება „ხმათ მღაღადე ბელისა უდაბნოსა შინა". გვიკვირს, რისთვის არ არიან პასუხის-გებაში მიცემულნი ყალბი სიების შემდგენელი პირები?

„ქვაცუდელი"

* *

შემახის აქაურმა ქართველობამ, როგორც იყო, გაიხსენა წყალდიდობისაგან დაზარალებული მოძმენი და ამას წინეთ, ადგილობრივ სამხედრო კლუბში გამართეს წარმოდგენა რუსულ ენაზე, თუმცა ქართულათაც სურდათ წარმოდგენის გამართვა, მაგრამ ვერ მოახერხეს დაუდევრობის გამო. შემოსავალი სულ შვიდ თუმნამდე იყო, განზრახვა აქვთ მეორე ჯერაც გამართონ ამნაირივე საღამო, იმავე მიზნით.

აქეთ კარგი ამინდებია, დაბლობ ადგილებში უკვე მკას შეუდგნენ. წლეულობითაც კარგ მოსავალს მოელიან. ხორბლის და ქერის ფასმაც შესამჩნევათ აიწია. ხეხილის მოსავალსაც კარგს მოელიან.

გ—ი.

* * *

გურიიდან: ხალხის გაჭირვებას ვინ მოთვლის. თანდათან უკან მიდის საქმე მატერიალურათ. ყანების დათესა ვაკეში ველარ გაბედეს წელს და ქედის მოსავალი აბა რას გვიზამს? იმასაც რომ სასიკეთო პირი უჩნდეს, ვინ რას იტყოდა?

მხოლოთ ერთათ ერთი აბრეშუმის იმედი აქვს ხალხს და კიდევაც თავ-გამოდებით ეტანებიან ამ საქმეს. ასე გასინჯეთ, ისე გატაცებულია ხალხი აბრეშუმით, რომ ბჟოლის (თუთის) ფოთლის საშოვნელათ ქურდობასაც ჩადიან. ერთი ს. ლესაში ღამით ჩაიპარა სხვის ბაღში ბჟოლის ფურცლის საქურდლათ, მაგრამ შეცდომა მოსვლოდა და ბჟოლის ნაცვლათ ვაშლი „გაეჩხოტა!"

ამ შემთხვევამ ბევრი აცინა ხალხი, ხოლო არა ნაკლები სასაცილოა ის გარემოება, რომ ერთმა ქალმა ს. აკეთში ცრუ მორწმუნეობით თვით ყაჭის ბიბილი გადაყლაპა, იმ მიზნით, რომ ბევრი აბრეშუმი გამიკეთდებაო.

გურიის სავაჭრო სამრეწველო ამხანაგობა „შუამავალი", რაც შეიძლება თავ-გამოდებით მეცადინეობს, მაგრამ ფრიად საჭიროა შეძლებული პირების დახმარება და ხალხის თანაგრძნობა. ამხანაგობისათვის მეტად საჭიროა ამ ჟამათ ფული და ვისაც კი სრულათ არ შეუტანია პაის ფასი, უმორჩილესათ თხოვენ ყველას დანარჩენი ფულის დაჩქარებას. ზოგიერთები თურმე უსიამოვნებას აყენებენ ამხანაგობ-ს გამგებელთ და ხელს უშლიან, მაგრამ იმედია ადგილობრივი ადმინისტრაცია ჯეროვან დახმარებას აღმოუჩენს ამ საქმეს.

* * *

სოფ. ბათაყო (კავკავის მაზრა). სოფელ ბათაყოელებს მართებთ თავიანთ ახლო მეზობლების ქისტების სისხლი. ამის გამოისობით მოუსვენარნი ქისტები მოსვენებას არ აძლევენ ბათაყოელებს, და ეს უკანასკნელიც დღე-და ღამე ხელში იარაღით დადიან. მაისის მიწურულ რიცხვებში, ბათაყოელები, წიკაევი (65 წლის) თავისი ორი შვილი შვილით, და ხოდოევი, ორი ურმით მიდიოდნენ, „კარშოლაცკისკენ", საცა დროებით ფარეხები აქვთ. გზათ უნდა გაევლოთ ქისტების ტყეზე. ბათაყოელნი ერთ გორაზე რომ ავიდნენ, შეამჩნიეს, რომ დაბლობში ორი კაცი გამოჩნდა, რომლებმაც გამოიხედეს ურმიანებისკენ და იქვე საჩქაროთ დაიმალნენ. ბათაყოელებს თუმცა ეჭვი შეეპარათ გულში, მაგრამ მაინც უკან აღარ დაბრუნდნენ. ჩაუშვნენ თუ არა დაბლობისკენ, ხოდოევმა შორიდანვე შეამჩნია, რომ ქისტები ხის ძირში იყვნენ ამოფარებულნი, ურემი შეაყენა და მოხუცს წიკაევს უთხრა: „აგერ ქისტები ჩასაფრებულან და უკან გავბრუნდეთ ცუდია და არ გავბრუნდეთ, მაინც გაფრთხილება გვმართებსო". მოხუცმა მითომ რო შეატყობინოს ქისტებს, რომ ისინი მათი მოსისხლეები არ არიან, ხმა მაღლა ქისტების გასაგონათ შეჰძახა: „ჩვენთან რა საქმე აქვთ, რას გვემართლებიან ქისტები, იმათი მოსისხლე ვინც არის, ხომ ცხადია მათისაო", და გააგრძელეს სიარული. როცა დაუპირდაპირდნენ ჩასაფრებულებს, ამ უკანასკნელებმა დაცალეს თოფი იმ განზრახვით, რომ ბათაყოელებისთვის თოფების გასროლა გამოეტყუებინათ. მართლაც, ბათაყოელები აჩქარდნენ; სამი თოფი ჰქონდათ სამივე ერთბაშათ მიახალეს ქისტებს, და დარჩნენ ცარიელები. ახლა კი იდროვეს ქისტებმა. გაისროლეს თოფები და ერთი ტყვია მოხვდა მოხუცს წიკაევს. მოხუცმა ეს არაფრათ ჩააგდო, იძრო

ხანჯალი და გადადგა ქიშტებისკენ რამდენიმე ნაბიჯი, მაგრამ ამ დროს მოხვდა მეორე ტყვია ბარძაყში. ახლა კი მოაელო ხელი მოხუცებულმა თავის ერთ პატარა შვილი შვილს და მ-სი შემწეობით მიეიდა და მიჯდა ხის ძირში. გავარდა კიდეე რამდენიმე თოფი ერთათ, ორი ტყვია გულში მოხვდა მოხუცსა, ერთიც ხოდოეს კუნთში; ხოდოემაც ამოღებული ხანჯლით მიაშურა ქიშტებს, მაგრამ მოხვდა მეორე ტყვიაც და წაიქცა. ახლა კი მიცვივდენ ქიშტები მოკლულ მოხუცს წიკაევს, მოჭრეს მარჯვენა ყური და გაიქცენ. თოფების ხმაზე, იქვე ახლო ერთი სხვა კაცი ბათაყოველი ყოფილიყო, რომელიც მოეშველათ ბათაყოველთ და ეს საზარელი ამბავი რომ ნახა, საჩქაროთ აცნობა თავისიანებს. უეცრათ შეიქნა ზარების გაჩქარებული წკარა-წკური. სწორეთ უცხო კაცს რომ ენახა ამ საათს ბათაყოს სოფელი, ეგონებოდა, ასაკლებათ მას მტერი შესეეიაო. ქალიან-კაციანა, ვისაც კი შეეძლო იარაღის ხმარება, ყველა შეიარაღებული იყო. ბათაყოველები ჩქარა მივიდენ დახოცილებთან. მოვიდენ აგრეთვე მდევარნი ქიშტების მხრითაც. გაიმართა მოციქულების მისელა-მოსელა ბათაყოველებსა და ქიშტებ შორის. ორივე მხარე მზათ იყო ერთ-ურთისთვის იარაღით შეეტია; სწორეთ, დიდი უბედურება მოხდებოდა ამ დღეს აქ, რომ ორივე მხრის მამასახლისებს არ დამშვიდებინათ ხალხი, და ჩქარა ბოქაული არ მოშველებოდათ. ქიშტებს ჩეეულებათ აქეთ სისხლს რომ აიღებენ, უნდა ყური მოჭრან ხოლმე მოკლულს, და წაიღონ თავის მკვდრთან, ე. ი. რომელიც წინეთ მოუკლეს; დედამ ამ ყურს ცოტა უნდა მოკვნიტოს და მერე იმის საფლავში უნდა დამარხონ ეს ყური. მითომ მათის აზრით, რაკი ასე მოიქცევიან საიქიოს ყურმოჭრილი მისი მკვდრის „ყურ მოჭრილი“ ყმა იქნება. მოხუც წიკაევსაც ქიშტებმა მიტომ მოჭრეს ყური, მაგრამ ამ დღეს ვერ შეისრულეს ქიშტებმა წადილი: ყური თუმცა წაიღეს, მაგრამ წინათ ბათაყოველებისგნით მოკლულ ქიშტის დედამ გაიგო თუ არა, ყური მოხუცი კაცის არისო, უსაყვედურა სისხლის ამღებთ: „ეგ მოხუცია და ჩემ შვილს ვერაფერს სამსახურს გაუწევს საიქიოსაო“. ამიტომ ყური დღესაც ვარცლში უდევთ თურმე ხელუხლებლათ. საბრალო წიკაევს ცხრა ბერდანის ტყვია ჰქონდა მოხვედრილი და ორიც ხოდოეს. აგრეთვე ორი ცხენიც მოკლეს ქიშტებმა. ცხენებსაც, ყურები დაჭრეს და წაიღეს. ბათაყოველნი დღეს გაფიცებულნი არიან: „საცა და ვისაც შეეხვდეთ ქიშტებიდან ნუ დავზოგავთო, ჩვენი ყურის მაგიერ ქიშტების კაცის თავი დავიბრუნოთო“.

ქართველი ოსებში.

* * *

სიღნაღი: ამ თვის 6-ს თელავიდან ჩვენც გვეს. ტუმრა ჩვენი ენა—ლიტერატურის მოყვარული ქალი მარჭორი უორდროპი თავის ძმა-მშობლებითურთ. სიღნაღ-ქიზ-ყის ინტელიგენციამ დიდი პატივით მიიღო ძვირფასი სტუმრები. ქალაქის დათვალიერებას შემდეგ სასურველი სტუმრები წაბძანდენ წმიდა ნინოს მონასტერში, იქიდან ქვემო-მაჩხაანში და ინახულეს ქიზიყის სახალხო დეპოტ. სიღნაღის მაღალ მთის კორწოხის ბაღში, რომელიც ამაყათ გადაყურებს დიდებულ სურათს—ალაზნის ველს, ქ-ნ უორდროპის საპატივცემოთ იყო გამართული სადილი, რომელზედაც დაესწრო მთელი სიღნაღის შეგნებული ქართველობა: ქალი და კაცი. სადილზე შესაფერი და საგულისხმო სიტყვები წარმოთქვეს შემდეგ პირებმა: მ. დეკანოზმა ს. ბეგიაშვილმა, დ. მაჩხანელმა, ა. ხანდრავამ, კ. მაღალაშვილმა, მ. ნასიძემ და სხვებმა. მომღერალთა გუნდი საქებურათ მღეროდა: „თამარის დროშა გაშალეს“, „აღზდეგ, გმირთ გმირო, ნუ გძინავს“, „ქართველო ხელი ხმალს იკარ“ და ტკბილი დუდუკიც მწარე კვნესით ბანს აძლეედა იმათ ტკბილ—მწუხარე ხმას. სადილზე გაიმართა ლეკური ცეკვა და ძვირფასი სტუმრები დიდათ ნასიამოვნები ქართველთა სტუმარ-მოყვარობით და ქიზიყის შვენიერი ბუნების დიდებულობით, გამოემშვიდობენ ყველა იქ მყოფთ. ბევრი ქართველი ქალი და კაცი დაიფიქრა საკეთილოთ ქ-ნ უორდროპის ტკბილმა ქართულმა სიტყვა-პასუხმა. სადილ-ს მოთავეთა შორის განსაკუთრებითი მადლობის ღირსნი არიან დანი კნ. ნ. და ვ. ანდრონიკაშვილის ასულნი და ბ-ნნი: კ. ბაღაშვილი და ვ. ბეგიაშვილი.

ამ თვის 9-ს სიღნაღიდამ ტფილისში გაემგზავრა ქ-ნი უორდროპი, რომელმაც სიღნაღის მახლობელ მინდორში, ერთ მუხის ქვეშ შეკრიბა ახლომახლო ყანებიდან ქართველი მუშა-მომკელები, გადიღო ფოტოგრაფიული აპარატით მათი სურათი, და პატიჟა მუშები პურ-ღვინოზე, უთხრა რამდენიმე ძმური სიტყვა და დაასაჩუქრა ფულითაც. მუშებმა რომ გაიგეს ქ-ნ უორდროპის ვინაობა, გმირულ ხმაზე უმღერეს მუშური და აღტაცებული გაუმარჯოს ძახილით და ქუდების ქნევით გააცილეს ძვირფასი სტუმრები.

დამსწრეთაგანი.

* * *

ფრონის სოფა (ქართლი). ფრონის ხეობა თავის ადგილ-მდებარეობით და სილამაზით ბევრათ არ

ჩამოუვარდება საქართველოს საუკეთესო კუთხეებს. ეს ხეობა გამოსდევს მდინარე ფრონეს, რომელიც იწყება დაბურულ მთებიდან დ გამოდის ველათ ვიდრე მტკვარს შეუერთდებოდეს. მდინარის ნაპირას მრავალი სოფლებია, რომლებიც უმეტეს ნაწილათ პატარ-პატარა გორაკებზეა გაშენებული; ზოგი კი ხეობის დაბლობ ადგილებშია ჩამალული. შვენიერი სახნავია ზაფხულობით მაღალ ადგილებზე გაშენებული სოფლები, რომლებიც თავიანთ ბაღ-ვენახებით კოხტათ გადაკიდულან ხეობაში. რა კი ხეები გაიფოთლებიან და ბალახი ამწვანდება ფრონის ხეობა წარმოგვიდგენს ერთ შვენიერს ბაღს, რომელსაც არც თავი ეტყობა და არც ბოლო. ადგილ-მამული ჩვენსკენ ბლომათაა; მოსავალიც კარგი იცის, ხალხიც გამრჯელი და შრომის მოყვარეა. მიუხედავათ ამისა ადგილობრივი გლეხები მეტათ გაჭირებით ცხოვრებენ. ეს იმითი აიხსნება, რომ ჩვენი გლეხკაცი ხვნა-თესვის მეტს ხელს არაფერსა ჰკიდებს. მთელი თავისი სიცოცხლე მიწას ჩაჩერებია და იქ ღვრის დღე და ღამ ოფლს. ქინახულზეა გლეხების ბედ-იღბალი დამყარებული, მაგრამ ქინახულმა დიდიხანია ფასი დაიკლო და ამიტომ დიდ სიღარიბეშია ჩაცვინული აქაური მუშა ხალხი.

წელს ჩვენმა ხეობამ გარდა უფულობისა და სიღარიბისა ბევრნაირი ტანჯვა გამოიარა. შარშანდელ შემოდგომას შემდეგ ერთი ხეირიანი დღე არ დადგომია. ზამთარმა ხომ სულ მეტის-მეტათ შეაწუხა ხალხი. აქ რომ ზამთარი იყო, ღმერთმა ყველა დაიფაროს. არავინ არ მოსწრებია ამ ამბებს. სახლებში შემწყვდეული ხალხი შიშით კარზე ვეღარ გამოდიოდა. მთელი მიდამო თოვლით იყო გადალესილი. მეზობელი-მეზობელს ხმას ვეღარ აწვდენდა. ხან თოვდა, ხან კორიანტელი ტრიალებდა. იყო ერთი ვაი-ვაგლახი. ქარი განუწყვეტელათ წუოდა და ღრიალებდა. სახლებსა და სახლებ შუა თოვლის გორები იყო აშენებული. ამ ამბებით შეშინებული ხალხი დღესაც ვერ მოსულა გონს, მას არ ჯერა, თუ ეს უბედურება ღვთით არ იყო მოვლინებული ხალხის დასასჯელათ. რაც ზამთარმა დააკლო აქაურობას, ის წყალ-დიდობამ და ნიაღვრებმა შეუსრულეს. მდ. ფრონე, რომელიც ზაფხულობით სულ პატარაა, ორჯერ საშინლათ ადიდდა. პირველ ადიდებაზე ფრონეს დიდი ზარალი არ მოუცია, მარტო ახლო-მახლო ადგილები წალეკა. მეორე ჯერ კი ფრონემ აქაურობა გაანადგურა. ეს იყო 26 მაისს. აზღვავებული მდინარე დაჭრილ მხეცსავით ღრიალებდა, და თან სახლის ოდენა ზვირთებს მოაგორებდა. თავ-ზარ დაცემული ხალხი ჯგუფ-ჯგუფათ მიეშურებოდა მდინარის ნაპირას, მაგრამ ხედავდა რა საშინელ სურათს, ისევ სახლებში გარბოდა. ფრონემ დიდი ზარალი მისცა ამ დღეს აქაურობას. დაანგრია წისქვილები, მოგლიჯა ვენახები, წალეკა ქალები, გააფუჭა მრავალი ხნული და ნათესები. ახლა რომ ვუცქერით, ვეღარც კი ვცნობთ, სად ბაღი იყო, სად წყარო, და სად ქალები. ყველაზე შესამჩნევათ ფრონემ ორი სოფელი დააზარალა: დვანი და ტახტიძირი. ეს სოფლები მდინარესთან ძალიან ახლო არიან გაშენებული. აღელვებულმა მდინარემ რამდენიმე კაციც იმსხვერპლა თავიანთი ურმებით და საქონლით.

ასეთი ამბავი ეწვია წელს ჩვენ ხეობას, მაგრამ ყველაფერს აქვს როგორც დასაწყისი, ისე ბოლოც. ბუნება კვლავ გაცოცხლდა; თბილმა ქარებმა იწყეს ქროლა. ჩვენმა გლეხებმაც გამოიღვიძეს, გამოჰყვეს სახლებიდან თავი და გასწიეს მინდვრებისაკენ, რომ მიხედონ თავიანთ აოხრებულ ადგილ-მამულთ.

გლეხებთან ერთათ გამოიხედა გარეთ აქაურმა თავად-აზნაურობამაც; ამ წოდებაში დღეს მოიპოვება რამდენიმე პირი, რომელიც გულ-წრფელათ თანაუგრძნობს ხალხს თავის გაჭირვებაში. ეწვია ჩვენ ხეობას მოსწავლე ახალ-გაზდობაც. თ. ს. ა—ძის სახლის კარი დიდი ხანი გაღებულია ყველა იმ გლეხების ბავშებისთვის, ვისაც ცოტაოდენი სწავლა უნდა შეიძინოს. ამ ოჯახში დაიარებიან გლეხის პატარა ქალები და წერა-კითხვას სწავლობენ.

ამ ცოტა ხანში აქ ერთი წარმოდგენა იყო გამართული ზემო-ხსენებულ თავადის სახლში, მისი შვილების მოთავეობით. წარმოდგენაზე გლეხების პატარა ქალებმა წაიკითხეს ლექსები. ითამაშეს „პარიკმახერისას“ თ. რაფ. ერისთვისა.

ვ. ქ.

ო ბ ო ლ ი.

რათა მცემ დედინაცვალო,
რა უფლება გაქვს ჩემზედა!
მითი გსურს განა დამჩაგრო,
რომ აღარა მყავს მე დედა?

—

ჩემზე რა ღვაწლი მიგიძღვის,
რა შრომა გაგიწევია?
შენ ჩემთვის ნანა არ გითქვამს
აკვანიც არ გირწევია!..

—

სულ მრისხანებით მიბრძანებ:
მშობელი დედა დაჰგმეო,

არ დაგცდეს მისი სახელი,
ეგ პირი აილაგმეო!..

—

ის შეიძულე და მხოლოთ
მარტო მე შემიყვარეო,
გინდა თუ არა იფიცე
შენ ჩემი მზე და მთვარეო!..

—

დარწმუნებულხარ მაზე, რომ
ალმართსაც მოხნავს ძალაო
და ამბობ. სუსტი ძლიერთან
სევა რაა, თუ არ ჩალაო!

—

მაგრამ ტყუედები, ვერ შემცელი,
ალმზრდელი ძუძუ ტკბილია,
განგების ძალით ეს გრძნობა
გულში ღრმათ აღბეჭდილია.

—

განა არ ცი შეილისთვის,
მშობელი დედა რა არი
და მათი ტკბილი კავშირი,
რომ თვით უუსკრული ზღვა არი?

—

მაშ, რაღას ჩამციებიხარ,
ის დავგმო, შენ გცე თაყვანი?
უწინამც მიწა გამისკდეს,
დაიწვას ჩემი აკვანი!

—

ვინც მშობა ძუძუც მაწოვა,
მირწევდა ვინც კაკანასა
და გრძნობით გატაცებული
მომღერდა ტკბილსა ნანასა,

—

ის მიყვარს, ის მირჩევნია
უთვალავს შენისთანასა
და სანამ შენში გავცელიდე,
გულში დავიცემ დანასა.

რუს-იმერელი.

არაბთა პატარძალი.

დელფინი (ზღვის ღორი) და მისი სტუმარი.

ზღვის ღორი თითქმის ყველა ზღვაში მოიპოვება. შავ ზღვაშიაც ბლომათ არის. იგი წყლის ზედა-პირზე დაცურავს, წყლიდან მალ-მალ ამოხტება ხოლმე. გარეგნობით თევზის სრულ მსგავსებას წარმოადგენს. მაგრამ თევზი კი არ არი: თევზთან მას არავითარი ნათესაეური კავშირი არ მოეპოვება. იგი ძუძუებიანთა გვარს ეკუთვნის ისე, როგორც ძაღლი, ღორი და სხვა ცხოველები. კანი მისი თხელი და შიშველია: თევზივით ქერტლი როდი აქვს. უკანა ფეხები არა აქვს, წინა ფეხები კი ფარფლებათ აქს გადაქცეული. სუნთქვით ისიც ადამიანივით სუნთქავს ფილტვებით. ამის ბრალია, რომ დიდხანს წყალში დაყოფა არ შეუძლია: უნდა მალ-მალ ამოხტეს, თორემ წყალში სული შეუგუბდება. კბილებს დელფინი არ იცვლის. ამიტომ სარძევე კბილები არა აქვს. აფსკა (დიაფრაგმა) ალმაცერათ აქვს მოთავსებული, ამიტომ ფილტვები გაგრძელებული აქვს. შვილებს იგი ცოცხლათ შობს. მათ



დელფინი (ზღვის ღორი) და მისი სტუმრები.

რძით ზრდის. ძუძუ ორი აქვს და ორივე მოთავსებულია ტანის უკანალზე იქ, სადაც კანი ორმოსავით ჩაზნექილია... ზურგზე ზურგის ფარფლი აქვს. მუცელზე კანი ღია თეთრი ფერისაა, ზურგზე და გვერდებზე კი მომწვანოთ, იისფერათ არის აფერადებული. დელფინს კბილები ბევრი აქვს და რამდენიმე რიგათ ჩაწყობილი; კბილებს შუა წყალი თავისუფლათ გადი-გამოდის, მაგრამ პატარა ცხოველები: კიბო, კიბოსნაირნი, ჩვილ-ხორციანები და სხ., რომლებითაც დელფინი იკვებება, რაკი პირში მოხვდებიან, გარეთ ვეღარ გამოატანენ. დელფინთან ერთი ფრინველი ფრიად დაახლოვებულია. როცა დელფინი საზრდოს შეექცევა, ამ დროს მას ის ფრინველი დააჯდება და იმ საზრდოთი თითონაც ისარგებლებს. ვინც ბათუმში ყოფილა, მას, უეჭველია, ეს ფრინველიც ენახება. მას, მგონია, ბათუმელები ღორ-იხვას უწოდებენ.

შენიშვნები.

ვინც ცოტათ თუ ბევრათ ღრმათ უკვირდება ჩვენ საზოგადოებრივ განვითარებას, ჩვენ საერთო ჭირს და ვარამს, ამ ბოლო დროს ის უსათუოთ, სხვათა შორის, ერთ ფრიად სამწუხარო გარემოებას შეამჩნევდა. რასაკვირველია, წინეთაც არა სანატრელი ყოფილა ჩვენი მდგომარეობა; პირიქით, დასაძრახიც ვიყავით. მაგრამ ჩვენ იმას ვცდილობთ, იმიტომ ვიდგამთ წელებზე ფეხს, რომ რაიმე წარმატების ნიშანი დაგვეტყოს. მეორე მხრით, ვინ იტყვის, რომ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების პირობები არ შეცვლილან, არ განვითარებულან, წარმატების გზაზე არ დამდგარან; ვინ იტყვის, რომ ცხოვრების პირობების ახალ პროგრესიულ ძალას არ დაუბერავს ჩვენ დროთა-ვითარების გამო დაუძლურებულ საზოგადოებაში. მაგრამ საქმე ის არის, რომ ჩვენ ერთობ მოუმზადებელი დავუხვდით ახალ ცსოვრების პირობებს. ჩვენთვის იყო იმ დროს საჭირო ახალი ცხოვრების ანბანის გაცნობა და ჩვენ კი იძულებული გავხდით თვით ამ ცხოვრებ-ს სიღრმეში გამოცდილ მებრძოლათ გამომდგარვიყავით; თუ არა და პირდაპირ შთანთქმა მოგველოდა, დედა-მიწის ზურგიდან აღგვა და გაქარწყლება.

დღეს ჩვენ თამამათ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს კრიტიკული დრო, ეს საშიშარი ხანა, სულ მთლათ თუ არა, მისი უდიდესი ნაწილი მაინც განვლილი გვაქვს. ბევრი შეცდომა მოგვივიდა, ბევრი ცოდვა ჩავიდინეთ, იმიტომ მხოლოთ, რომ არ გვესმოდა იმის მნიშვნელობა, რაც ჩვენ გარშემო ხდებოდა. მაგრამ ეს ხომ საზოგადო კანონია მთელი კაცობრიობის განვითარებისა. კაცობრიობა მხოლოთ შემდეგ იგნებს და აფასებს თავის წინანდელ შეცდომებს. ჩვენ ახლა ვერ გამოუდგებით იმის გამოკვლევას, თუ რა მიზეზით აიხსნება ეს საყოველთაო მოვლენა და ჩაითვლება თუ არა ის საზოგადოებრივი ცხოვრების სამუდამო კანონათ. აქ ჩვენ უნდა მოვიხსენიოთ მეორე გარემოება, რომელიც, თუ ისეთ საყოველთაო მოვლენათ არ ჩაითვლება წარსულში, როგორც პირველი, არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს აწმყოში და უმეტესათ მერმისისათვის. ჩვენ ვამბობთ ისტორიულ გამოცდილებაზე. თუ რომელსამე საზოგადოებას ანუ ხალხს წინ უდგია გაიაროს დაახლოვებით იმ ნაირივე მდგომარეობა, რაც წინეთ გამოუვლია, მაშინ მის მეთაურთ შეუძლიათ იხელმძღვანელონ, რამდენათაც არსებული პირობები ხელს შეუწყობენ, წინანდელი გამოცდილებით ဝ ისე იმოქმედონ, რომ ის შეცდომები, რომელთა თავიდან აცდენა შესაძლებელია, აღარ ჩაიდინონ. მაგრამ ამ გვარი გარემოება ხდება ძლიერ იშვიათათ: ერთი და იგივე ხალხი ძვირათ გამოცდის რამდენიმე ჯერ ერთ და იმავე მდგომარეობას, ან მის მსგავს. ამისათვის ისტორიულ გამოცდილებას უფრო დიდი და უაღრესი მნიშვნელობა აქვს სხვა ხალხისათვის, რომელსაც ჯერ არ გაუვლია იმავე განვითარების მსგავსი ხანა. დღეს ჭეშმარიტებათ არის აღსარებული, რომ განვითარებული ერი საზოგადოთ წარმოუდგენს განუვითარებელს სურათს მისი საკუთარი განვითარებისას. „ამიტომ რომელსამე ერს შეუძლია და ამასთანავე ვალდებულიცაა ისწავლოს მეორე ერის ისტორიიდან“ (მარქსი).

როგორ ვისარგებლეთ ჩვენ ამ გარემოებით იმ დროს, როცა პირველათ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება ახალ გზას, გაევროპიელებას, დაადგა? სხვადა-სხვა გარემოებათა გამო, ჩვენთვის მაშინ შეუძლებელი იყო დროის შესაფერათ და შეგნებულათ მოქმედება. მაგრამ მას მერე გავიდა საკმარისი დრო, რომ ჩვენ უფრო ღრმათ ჩავკვირებოდით ცხოვრების პირობებს, საფუძვლიანათ შეგვესწავლა ეს უკანასკნელნი მით უფრო, რომ ის ისტორიული გამოცდილება, რომელზედაც ზევით ვლაპარაკობდით, მას შემდეგ კიდევ უფრო ნათლათ გადაიშალა ჩვენ თვალ წინ და ამიტომ საშუალებაც მოგვეცა საკმარისათ ჩავკვირებოდით მას. მაშასადამე, ჩვენ ძალა-უნებურათ გვებადება ხოლმე იგივე კითხვა: როგორ ვსარგებლობთ დღეს განვითარებულ ერთა ისტორიული გამოცდილებით? ჩვენ, რასაკვირველია, არ ვკისრულობთ გაკვრითი წერილში ამ კითხვის გამორკვევას; ჩვენ გვსურს მხოლოთ რამდენიმე შენიშვნების წარმოთქმა.

ავიღოთ, მაგ. მწერლობა, რაც ყოველთვინ საზოგადოებრივი წარმატების ერთ უკეთეს გამომხატველათ ითვლება. ყოველად შეუძლებელია იმის უარის-ყოფა, რომ ჩვენი მწერლობა ამ რამდენიმე წლის განმავლობაში არ წარმატებულიყოს. ამის უარის-ყოფა პირდაპირ დაბრმავების ნიშანი იქნებოდა. მაგრამ, სამწუხაროთ, უნდა აღვიაროთ, რომ ეს წარმატება თვით ჩვენი საზოგაროებრივი ცხოვრების წარმატებასთან შედარებით ძლიერ უკან არის, რომ ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრებამ გაასწრო ჩვენ ლიტერატურულ განვითარებას. აქედან პირდაპირ ის დასკვნა გამოდის, რომ ჩვენ ვერ ვისარგებლეთ ჩვენზე დაწინაურებულ და განვითარებულ ერთა ისტორიული გამოცდილებით. განვითარება ჩვენ ლიტერატურას უმეტეს ნაწილათ დაეტყო მხოლოთ იმაში, რომ მან შეითვისა დაწინაურებულ ერთა ლიტერატურის შედარებით უფრო უსარგებლო ნაწილი და ამასთანავე მისი აუცილებელი ნაკლულევანებანი. შეიძლება ეს უფრო ადვილიც იყო და ამასთანავე უფრო დროს შესაფერი. საქმე ის არის, რომ ის, რაც ჩვენ შეეითვისეთ და რა გზასაც დავადექით ამ უკანასკნელ დროს, ლიტერატურის მხრით, ის განვითარებულ ერთა ლიტერატურაში მხოლოთ მერმენდელ ზენაშენს შეადგენს, თუ ასე შეიძლება ვთქვათ, დიდი ჩნის განვითარების შედეგს, რომელიც სულ სხვა საფუძველზე აღორძინდა. მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ, როცა ჩვენ თანამედროვე დაწინაურებულ ერთა ლიტერატურულ განვითარებაზე ელაპარაკობთ, ჩვენ სახეში გვაქვს მხოლოთ ის ხანა, რომელიც იწყება ბეჭდვითი სიტყვის შემოღებას შემდეგ. თავის დასაწყისში ბეჭდითი სიტყვის დანიშნულება და მოხმარება სულ სხვა საფრძველზე იყო დამყარებული. ამ საქმეს მაშინ ვისიმე პირადი ინტერესი არ ჰქონდა სახეში; აქ მხოლოთ საზოგადო სარგებლობაზე იყო დაფუძმებული ყოველივე. როცა კაცი გებულობს პირველ მბეჭდავთა ისტორიას, იმათ გულწრფელ გატაცებას, რომ ბეჭდითი სიტყვის იარაღით იმათ შეუძლიათ დიდი სარგებლობის მოტანა საზოგადოებისათვის, ვიმეორებთ, როცა ყოველივე ამას გებულობს ადამიანი, მას არ შეუძლია გამოუთქმელი პატივისცემით არ აღიჭურვოს მათ წინაშე. ჩვენ არ შეედავართ იმის გარჩევაში, თუ როგორი წარმოდგენა ჰქონდათ ბეჭდითი სიტყვის პიონერებს ხალხის სარგებლობაზე, რაში ხედავდენ ისინი მის ბედნიერებას; ჩვენთვის საინტერესოა მხოლოთ იმათი უანგარო და გულწრფელი სამსახური და ღვაწლი ამ კეთილშობილურ ასპარეზზე. ბეჭდვითი სიტყვას, როგორც ერთ უძლიერეს იარაღს ხალხის წარმატებისას, ამ გვარ პირობებში შეეძლო მართლა რომ დიდი სამსახური გაეწია საზოგადოებრივი განვითარებისათვის. ეს ასეც მოხდა. ვინემ ევროპის ლიტერატურაში თავს იჩენდა ახალი დროის საზოგადოებრივი წარმოების წესი—ყველაფრის ფულით დაფასება და გაზომვა, მინემდის ამ ლიტერატურას უკვე განელილი ჰქონდა ფრიათ საუკეთესო და ნაყოფიერი ხანა თავის განვითარებისა. ეს ხანა თავდება ევროპაში საზოგადოთ მეთვრამეტე საუკუნით. ამას შემდეგ, როცა კაპიტალისტური წეს-წყობილება გასაოცარი სისწრაფით ერცელდება საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველგვარ სფერაში, ყველა კუნჭულში, გასაკვირალი არ არის, რომ ლიტერატურასაც იგივე ბედი წეეოდა. წინანდელი შედარებით უანგარო მოღვაწეობა ლიტერატურულ ასპარეზზე ადგილს უთმობს პიროვნული ინტერესებით აღჭურვილ შრომას, ადვილათ გამდიდრების სურვილს: ლიტერატურა ხდება საშუალებათ, რომ თავი ირჩინოს კაცმა; ამიტომ აქ მყარდება იგივე კანონი, რაც მრეწველობაში, აღებ-მიცემობაში, ეაჭრობაში. ლიტერატურული შრომა იყიდება ისე, როგორც სხვა ყოველგვარი შრომა: უბრალო მუშის, ინჟინერის თუ მოხელეს. მაშასადამე, ლიტერატურამაც იქითკენ უნდა გადიხაროს, იმ წოდებას უნდა ემსახუროს, რომლიდანაც უფრო მეტ სასყიდელს მიიღებს. ამას ჰქვია ლიტერატურის გათახსირება. მეორე მხრით, ეს მოვლენა შემთხვევით არ წარმომდგარა: ის მჭიდროთ არის შეკავშირებული ჩვენი დროის მატერიალური წარმოების პირობებთან. ჩვენ დროში ყველაფრის ყიდვა შეიძლება ფულით; ადამიანის პატიოსნებაც კი ფულით ფასდება; მაშ, აზრის გაყიდვაც შესაძლებელია, მით უფრო, რომ მყიდველისათვის ეს ძლიერ სასარგებლოც გამოდგება, ვინემ რაიმე ნივთი.

მაგრამ საბედნიეროთ, ლიტერატურას აქვს სხვა სფერასთან შედარებით, ერთი მეტათ კარგი და ამასთანავე კეთილშობილური მხარე. ეს თავის თავის მხილებაა, ყოველგვარი გამათახსირებელი მიმართულების შეუბრალებლათ კიცხვა და მისი სასტიკი დეენა. შეენშნავთ, რომ ეს თვით ჭეშმარიტების თვისებას შეადგენს, და რადგან მწერლობა ინსტინკტიურათ ჭეშმარიტების გამოძიებას ელტვის, ამიტომაც სულ ვერ აღმოიფხვრება მასში ეს კეთილშობილური თვისება, რომელიც მუდამ აცხოველებს, ახალისებს და ახალ სულს ბერავს მწერლობას. მეორე მხრით ევროპის მწერლობას, როგორც ვიცით, ჰქონდა სახელოვანი წარსული უანგარო მოღვაწეობისა და ნამდვილი მეცნიერებისათვის მომზადებული ნიადაგი. ამ მიზეზებმა სრულიად დაიხსნეს ევროპის ლიტერატურა იმ გათახსირებიდან, რომელიც ჩვენ ზევით მოვიხსენიეთ.

ამ მხრით უფრო სამწუხარო და ცუდ პირობებში იმყოფებიან ის ერნი, რომელნიც შედარებით გვიან გამოვიდენ მსოფლიო ასპარეზზე: იმათთვის უფრო ადვილი იყო ახალი ცხოვრების გარეგანი მხრის და მისი ნაკლულევანებათა შეთვისება, ვინემ მისი შინაგან ღირსებათა. ერთი ამ ერთაგანი ჩვენც ვართ. ჩვენ უკვე ზევით წარმოვთქვით ის აზრი, რომ საზოგადოთ ჩვენ ვერ ვისარგებლეთ განვითარებულ ერთა ისტორიული გამოცდილებით, როცა პირველათ შეინძრა ჩვენი პატრიარქალურ-ბატონ-ყმური ცხოვრება ახალ ცხოვრებასთან დაჯახებით. ეს ითქმის, რასაკვირველია, ყველაზე უფრო ლიტერატურაზე. მაგრამ ერთმა გარემოებამ იხსნა მაშინდელი ჩვენი მწერლობა (ორმოც-და-ათიანი და სამოციანი წლები გვაქვს ჩვენ აქ უმეტესათ სახეში); ჩვენ ვამბობთ იმ გარემოებაზე, რომ მაშინ ჩვენში საზოგადოებას სრულებით შეგნებული არ ჰქონდა, თუ არსებობისათვის ბრძოლაში რა გამოსადეგი იარაღი იყო ბეჭდვითი სიტყვა ანუ მწერლობა. ამ მხრით, ჩვენი აწინდელი მწერლობის პიონერების ღვაწლი სწორეთ კეთილშობილურათ ჩაითვლება. მაგრამ აგერ გავიდა რამდენიმე ხანი, ჩვენ მწერლობას ჯერ კიდევ ვერ მოესწრო, რომ რამდენიმეთ მაინც შეესრულებია თავის მაღალი და კეთილშობილური დანიშნულება, და მასში თავი იჩინა პირდაპირ ქვენა პიროვნულ ინტერესებისთვის სამსახურმა. ჩვენი მწერლობა რომ რამდენიმეთ განვითარებული და მომზადებული შეხვედროდა ამ სენს, როგორც, მაგ., ევროპაში, მაშინ ამაში საშიშარი არაფერი იქნებოდა, მაშინ ამნაირი წვრილმანი გარემოებანი ვერ შეხუთავდენ მას.

დღეს კი მწერლობა ჩვენში (ადგილობრივი რუსული მწერლობაც გვაქვს ჩვენ აქ სახეში) ყოველ გვარ ღონისძიებას ხმარობს, რომ-რაიმე ნაირათ გვერდი აუაროს ყოველსავე საზოგადო საქმეს და მარტო კერძო პირების ინტერესებს ემსახუროს; დღეს ჩვენში მწერლობას პატივსა ცემენ იმდენათ, რამდენათაც ის კუჭის მოთხოვნილებას აკმაყოფილებს. ერთი მხრით, ამნაირი ნიღაბ ჩამოფარეგული მწერლები სწორეთ რომ საბრალონი არიან, რადგანაც იმათი შრომა ამ ასპარეზზე დიდ სასყიდელს ვერ მოიპოვებს. მაგრამ, მეორე მხრით, იმავე დროს, არ შეგვიძლია არ დავგმოთ ამნაირი მიმართულება ჩვენი მწერლობისა, რადგანაც ამის გამო ეს უსანასკნელი, რომელიც ჯერ კიდევ მკვიდრ მეცნიერულ ნიადაგზე არ დამყარებულა და საკმარისი ნდობაც არ მოუპოვებია ხალხში, ბევრს დაკარგავს და მისი დასაკლისი კი ყველაზე უწინ ჩვენი საზოგადოების დასაკლის შეადგენს.

ეს საზოგადო შენიშვნა. რაც შეეხება კერძო მოვლენათა, არ შეგვიძლია აქ პირველი ალაგი არ დავუთმოთ ბ. გრ. ყიფშიძის წერილს, რომელიც ბ. ჭ. ჭიჭინაძემ „კუჭის რწმენის“ სახელით მონათლა. ჩვენი მხრით კი ვოლტერის დაუვიწყარ სიტყვებს განვიმეორებთ მასზე: „en voilà justement comme on écrit l'histoire“!

ამ ჟამათ ჩვენ წინ დევს კიდევ ერთი რუსული გამოცემა, რომელიც არ ვიცით სწორეთ, რომელ მწერლობას ეკუთნოთ: რუსულს, სომხურს, ოსურს თუ ქართულს; ეს რაღაც „ინტერნაციონალური“ გამოცემა უნდა იყოს. ხუმრობა არ გეგონოს, მკითხველო! ჩვენ ვამბობთ „Кавказская Жизнь“-ზე ანუ „Художественно-Литературный Сборникъ“-ზე, რომლის გამოცემა დრო-გამოშვებით ბ. შ. ე. დავიდოვს განუზრახავს. მკითხველი მიხვდება, რომ ამ გვარ გამოცემის შესახებ ლაპარაკი ერთობ საძნელოა. ყოველ შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია ორი კითხვა დავაყენოთ: 1) რაში მდგომარეობს მიზანი ამ გამოცემისა და 2) რამდენათ ის ამართლებს შინაარსის მხრით თავის სახელწოდებას. პირდაპირ პასუხს პირველ კითხვაზე თქვენ ტყუილათ მონახავთ ამ კრებულის პირველ წიგნში. მართლა, რით ხელმძღვანელობდა ბ. შ. დავიდოვი, როცა ამ კრებულის გამოცემა განიზრახა? ყოველ შემთხვევაში ამ კითხვის პასუხი მაინც თვით „Кавказская Жизнь“-ში უნდა ვეძიოთ, მის გარეგან და შინაგან ხასიათში. ჩვენის აზრით, ამ კრებულის მიზანი უფრო მის გარეგან ხასიათში გამოიხატება, ვინემ შინაგანში; სწორეთ აქ უნდა ვეძიოთ მისი მოვლინების მიზანი. ეს არის იმ მიმართულების ნაყოფი, რომელიც ამ უკანასკნელ დროს ჩვენში მკვიდრდება, როგორც ცხოვრებაში, ისე თვით მწერლობაშიაც.

რაც შეეხება „Кавк. Жизнь“-ის შინაგან მხარეს, მის შინაარს, თუ რამდენათ შეესაბამება ეს უკანასკნელი თავის სათაურს, რამდენათ და როგორ გვიხატავს ის კავკასიის ცხოვრებას,—ყველა ამაზე უმჯობესი იქნება, რომ სულ არ ჩამოვაგდოთ ლაპარაკი. და მართლაც, რომელ მხარეს კავკასიის ცხოვრებისას, რომელ კითხვას საზოგადოებრივი ხასიათისას ეხება და გვიხსნის თავისი წერილებით „Кавк. жизнь“-ი? ან იქნება, არა ვითარი მხარე ჩვენი ცხოვრებისა, არავითარი კითხვა ჩვენში არ საჭიროებს სინათლის მოფენას? რასაკვირველია, რომ ეს ასე არ არის. სამწუხაროთ, ბ. შ. დავიდოვის კრებული ამ მხრივ ყოველათ უფერულ რასმეს წარმოადგენს, თუ ამასთანავე ათასჯერ დაღეჭილს არა. სამწუხარო ის არის აქ უმეტესათ, რომ წინეთ თუ ამნაირ საქმეს მოჰკიდებდა ვინმე ხელს, ის ამას უფრო მძიმეთ, უფრო სერიოზულათ მოეპყრობოდა. იმისთვის საჭირო იყო შესაფერი მეცნიერული მომზადება თანამედროვე მეცნიერების მი-

ხედვით. დღეს კი ამ გვარ შრომისათვის უმეტესობა ყოველგვარ მომზადებას პირდაპირ უა სა ჰყოფს. ამას წინეთ, სრულიად შემთხვევით, ჩვენ წავაწყდით ერთ საუცხოვო „პროექტს", რომელსაც შემდეგი სათაური ჰქონდა: „Общество для изученія древностей грузинскихъ". ყოველივე კეთილი აზრი და დანიშნულება, შესაძლებელია, ჩემო მკითხველო, რომ დამახინჯდეს და სისაძაგლეს დაემგვანოს. სწორეთ ესევე უნდა ვთქვათ ამ ,,პროექტზედაც''. ჩვენ კარგათ გვესმის, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენი ისტორიული წარსულის ნაშთა შესწავლას, მაგრამ ამისთვის ყველაზე უწინარეს აუცილებლათ საჭირონი არიან მეცნიერებით და გამოცდილებით შეიარაღებულნი პირნი. დასახელებული „პროექტი" კი აშკარათ მოწმობს, რომ მისი შემდგენელნი ყოველსავე ამას მოკლებულნი არიან. იმათი აზრით, მაგ., საკმარისია ისტორიული საზოგადოების შესადგენათ დადგენილი საწევრო გადასახადის შეტანა: ეს სასტიკი შეცდომაა, თუ კიდევ მეტი არა. არა, ამ ფრიად სასარგებლო საქმისათვის საჭირონი არიან მეცნიერულათ მომზადებული და განვითარებული პირნი, რომელნიც ჩვენში, თუმცა იშვიათათ, მაგრამ რამდენიმე მაინც კი უნდა მოიძებნებოდეს.

ფ. მახარაძე.

სახუმარო გასართობი

(საზავზულო სიზმრები).

Казакъ на сѣверъ держитъ путь,
Казакъ не хочетъ отдохнуть...

Пушкинъ.

I

არ ვიცი, შენზე როგორ მოქმედობს, ჩემო მკითხველო, ეს ზაფხულის სიცხე და მე კი უნდა გამოგიტყდე, სულ თავგზა ამერია. აბა, ხომ კარგათ გახსოვს, ჯერ მაისი რა იყო, მაისი, და ახლა ამ თიბათვემ სულ ბოლო მომიღო! ყოველი მხრიდან სიცხე, შიგნიდან და გარედან. მერე არც წამალი აქვს, ეს არის უბედურება! ამას არც ,,ნარუქნოე'' შველის და არც ,,ენუტრენნოე!'' ჩემ გარშემო მტვერია, ტალახი, ჭუჭყი... აი, ახლა კი სწორეთ მჯერა, რომ ადამიანი—ევას გარდა!—მართლა ტალახისაგანა ყოფილა შექმნილი; რომ მეც ტალახისაგან ვარ, რომ, აი, ესენიც, ვინც გარს მახვევიან... სულ, სულ ტალახისაგან არიან. ერთი სიტყვით, საითაც შენ ბედნიერ თვალს მოავლებ, ტალახია და ტალახი! მოდი ახლა და ამ ,,ატმოსფერაში'' სული ნუ ამოგივა! მაგრამ, ჰეი, მე სული ღრმათ მიდგია, მიდგა კი არა, უნდა მედგას, ასე მაქვს ნაბძანები! ტალახი, დიაღ, ტალახი... მეც ვზივარ ამ ყელთამდე ტალახში და ვფიქრობ, ვოცნებობ... მაგრამ რომ აღარ მახსოვს, რაზე ვფიქრობ! ეს სულ სიცხის ბრალია, გეფიცები ჩემთა შვილთა ხილულთა და არა ხილულთა! ჰო, მოვიგონე: ვფიქრობ... იდეალზე, სწორეთ იდეალზე ვფიქრობ! მაგრამ აქ რაღაც ,,ნედოროზუმენიე'' უნდა იყოს: იდეალი მომავლისაარ, მე კი ეს ოხერი ფიქრი სულ უკან-უკან წარსულში მიმათრევს. კაი ხანი კია, რაც იდეალზე აღარ მიფიქრია, ყმაწვილობას აქეთ! ,,დრონი წარვიდენ, თანა წარიღეს''... ახლა სულ სხვა დროა: გამახსენდება თუ არა იდეალი, მაშინათვე ჩამთვლემს, ჩამთვლემს და ვიწყებ ზმანებას. სიზმარი თუ? სწორეთ საოცარია! მოვხუჭავ თუ არა თვალსა და მაშინვე სიზმრები მომესევიან! ვინ მე და ვინ სიზმარი! ყველა იმას იძახდა, ფხიზელი კაცია, თითონ ხომ არა ძინავს და არა, ყარყუმათ არის გადაქცეულიო, მაგრამ სხვებსაც ქოტივით დაჰკივის და ძილს უფრთხობსო. მაგრამ ახლა, ახლა დავიწყებ თუ არა ფიქრსა და ჩამთვლემს, ჩამთვლემს თუ არა და მაშინვე „ის" დამესიზმრება, „ის". სად იყო წინათ სიზმარი? ისე გავათენებდი, გვერდს არ ვიცვლიდი, თორემ თუ არა გჯერათ, ჰკითხეთ... მაგრამ მაშინ ხომ არც „ის" იყო! ახლა სულ სხვაა, ახლა სულ „ის" მესიზმრება! ღმერთმა კარგი მოგცეს, ბარემ კარგ სიზმარს მე ვხედავდე, მაგრამ სიზმარი მაინც სიზმარია, ნამდვილს მხოლოთ ისე წაავავს,

ვითა მწუხრი განთიადსა.

ეს მართალია, მაგრამ ახლა შენა გკითხავ:

თუ არ სიზმრით, მაშ რით დასტკბეს
უიმედო სიყვარული?

ოოოხ!.. სიყვარული, „მისი" სიყვარული! რა რიგ მიყვარდა! „ორმოც ათას ძმას" *), „ორმოც ათას საყვარელს'' **) არ შეუძლია ისეთი სიყვარული, როგორც მე ,,ის'' მიყვარდა! მაგრამ შეარცხვინა ღმერთმა სოფლის უკუღმართობა!

ამაო ამა სოფელმა,
მუხთალმა დაუნდობელმა,
ესრეთა მქმნა მომტირალი
ურწმუნო დასაგმობელმა.

---

*) იხ. ჰამლეტ. თარგ. თ. ი. მაჩაბლისა.
**) იხ. ნ. ნიკოლაძის ნაწერები.

თვალი რომ მიძღენა, მომართვა,
შეშურდა, ისევ წამართვა,
მისგან დამსვა ცარიელი
დასანთქავ-დასამხობელმა.

II

მაგრამ... მაგრამ სიცხით კი მაინც ძალიან ცხელა! ამ სიცხემ განა მარტო მე შემაწუხა? ყველას ენა მოგვაკვნეტინა, ყველანი დაგვამუნჯა. ჩემს თავსა ეჩიოდი და ჩემ მეგობრებს უარესი დავმართათ. სხვდან ჩუმათ, კრინტი ვერ დაუძრავთ, ენა არ ემორჩილებათ და ისე მომჩერებიან, თითქო ეს სიცხე მარტო ჩემთვის იყოს მოვლენილი! არ ეიცი, რისა გერცხვენია და ერთმანეთს კი ხმას ველარა ეცემთ, ერთმანეთს თვალს ვარიდებთ. ესხედვართ დაბნელებულ ოთახში, წიაღსა შინა წყვდიადისასა და ვდუმარებთ.

ჩვენთვის მზე არ ანათებს
შავ-ბნელათ გვეჩვენება.

მართლა-და ჩვენთვის არც ძილია და არც მოსვენება. რაღაცა გვტანჯავს, არ გვასვენებს, რაღაც გვინდა, ხოლო რა არის ეს „რაღაც", ვერც მე და ვერც ჩვენ ვერ მიგვიგნია.

აი, სწორეთ ამ მდგომარეობაში ვ ყავით გუშინაც. ტვინი აღარ მუშაობდა,—ან კი რას გვიშველიდა!—სვინიდისს ტკბილათ ეძინა,—ვერაფერი ფრთხილი ყარაულია, თუ თქვენც იტყვით!—ჩვენ უძრავათ ვისხედით საკარძელში დაღალულ-დაქანცულები და ვთვლემდით. სადილის ჟამმა მოაწია. ჩვენი მსახური ლანდიეთ გაჩნდა ოთახში, მაგრამ არც საჭმლის სუნი და არც თეფშის ხმაურობა არ ისმოდა. იგი ჩუმათ მოგვიახლოვდა და თითო უშველებელი წიგნი გადაგვიშალა მუხლზე.

— სტიროდეთ, შიმშილობა მოდის.'—გვითხრა მან და გაჰქრა.

დავხედეთ წიგნის სათაურს და გულდაწყვეტილებმა ერთ ხმათ შევბღავლეთ:

„დაკარგული სამოთხე", „დაკარგული სამოთხე!"

უკვდავო თხზულებავ უკვდავი მილტონისა, რათ მოგვიშხამე სიცოცხლე?!.

ესხედვართ და ვხედავთ, რომ სამოთხეში უკვე შემოსულა „ოქროს ვალიუტა"—ყველანი ოქროში სხვდან, ოქროთი კოჭაობენ. სამოთხეს გარს არტყია ბროლის კედელი და ყველაფერი ჩანს. შუა სამოთხეში დგას შვენიერი, თვალ-მარგალიტით მოჭედილი ტახტი; შიგა ზის სპარსეთის და სრულიად აზიის მბრძანებელი აღა-მახმად-ხანი. პატივი და დიდება, სახლი და საჭმელი, ორივე საკმაოთ მოუპოვებია მას. ყველანი მოწიწებით და მოკრძალებით ექცევიან.—ნეტარება შენ!—უგალობენ სამოთხის მცხოვრებნი და ისიც ნეტარებს. მე კი, ჩვენ კი ამას მხოლოთ ბროლის კედელში ვხედავთ. ერთი ჩემი მეგობარი მისდგომია და ბროლის კედელს ენითა ლოკავს. შემამჩნია თუ არა, მოჰყვა ფიცს: მე ხომ იქ საქმე არა მაქვს-რა, მხოლოთ ისე მინდოდა გამეგო, რა გემოსია კედელიო. ჩვენა ვცდილობთ, როგორმე გადავიდეთ ამ ბროლის კედელზე, მაგრამ აცოცებას ვერ ვახერხებთ, ფეხი გვისხლტება და ძირსა ვცვივით. . მე ცრემლი მდის, ჭირის ოფლს მასხამს, მეტი აღარ შემიძლია...

წყეულიმც იყოს დღე იგი,
რა ჟამს გიხილე მე შენა!..

შევკივლე უეცრათ და გამომეღვიძა.

სიზმარი! ოხ, ჩემო მკითხველო, ღმერთმა ნუ გაჩვენოს სიზმარი! იცი, რა არის სიზმარი? სიზმარი ის არის, რომ რაც გელანდება, ის გეზმანება. დასწყველოს ღმერთმა სიზმარი!..

III

წუხელის მიდე თუ არა ბალიშზე თავი და ეხედავ: მოდის და მოდის ჯარი... აღა-მახმად-ხანთან საბრძოლველათ... „დაკარგული სამოთხის" დასაბრუნებლათ. მოდის ლამაზათ რაზმებათ დაწყობილი, ისე ძველებურათა, ჩვენებურათა,

მძიმე ყალნით,
ლამაზ ფალნით
მორთული და მშვენიერი...

პირველ რაზმათ თავის წინამძღოლითურთ მოდიან ქულაჯებიანი, ყურთმაჯებიანები ცხენოსანი ჯარი არა ჩანს, სულ „პეხოტაა". გამბედაობა, თავგანწირულება კაფიოთ გამოიხატება მათ თვალებში. ყველას შუბლზე შავი დამღასავით ქართული ასო „მ" აზით. მოდიან და მოიმღერიან: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანიო". წინ მოუძღვის თითონ მეფე და,—ოხ, საკვირველებავ!—ეს მეფე მე ვარ, მე! „მეფე ვარ, მეფე!" *) არ ეიცი კი, რომელი: „მეფე ლირი", თუ „მეფე დიმიტრი თავდადებული". მაგრამ ეს სულ ერთია. ხალხი დარწმუნებულია, ხალხსა სჯერა, რომ მე მისთვის თავდადებული ვარ. რა მე? სხვებიც, სხვებიც ყველანი თავდადებულები არიან: ჩემი ძმები, სიძეები, ცოლის დები, ცოლები, ასისთავები, ათისთავები, მერიქიფეები... ისინიც, ისინიც ყველანი თავდადებულები არიან.

---

*) იხ. მეფე ლირი. თარგ. იდ. ჭავჭავაძის და ივ. მაჩაბლისა.

ვაშა, ვაშა მძლეველ მეფეს!

იძახის ხალხი.

აი, იერიშიც მოვიტანეთ, ვიბრძვით ლომებივით...

ცხენთა თქრიალი, შუბთა ტრიალი, ყურთმაჯთ
ბრიალი, მაჟართ გრიალი.

ალა-მახმად-ხანი გარბის! გამარჯვება ჩვენა გვრჩება: „დაკარგული სამოთხე“ დავიბრუნეთ! გული სიამით მიძგერს, მიკანკალებს...

ძიინ!... დაიწრიალა უეცრათ საათის ზარმა და გამომეღვიძა.

მივიხედ-მოვიხედე: არსად ჯარი, არსად მეფე! მხოლოთ ვიღასიც ხმა ყურში ჩამძახის:

თუ არ სიზმრით, მაშ რით დასტკბეს
უიმედო სიყვარული?

IV

ოხ, სიზმარი, სიზმარი! რას არა ნახავს კაცი! ვითომ მე ნანსენი ვარ, ვითომ „სევერნი პოლიუსზე“ მივდივარ, ვითომ ამ გაყინულ პოლიუსზე ჩვენი ძველებური მდივანბეგი ცხოვრებს და ხალხს ასამართლებს. ჩემი ბებერი იმპრესარიო წინ მიმიძღვის და მამხნევებს. ნუ გეშინია, თვალი ჩემკენ გეჭიროსო. ეს ექსპედიცია თავიდან ბოლომდე სულ ჩემი იმპრესარიოს საქმეა. მაგრამ რა უცნაური სიზმარია! მივდივართ „სევერნი პოლიუსზე“ და თან მიგვაქვს.. ორი ტომარა, აბა გამოიცანით, რა? „კავკაზი“, „ნოვოე ობოზრენიე“, „ტფილისის ლისტოკი“, და აწ სალათას ძილით მძინარე „ივერია“. თეთრი აბრეშუმის ლენტი ჯვარედინათ აქვს ტომრებს გადავლებული და ზედ მწვანე ასოებით დაბეჭდილია:

Доносъ на гетмана-злодія.

მივქრით და მივდივართ. გადავიარეთ მთები, მდინარეები, ზღვები. აი, „სევერნი პოლიუსიც“, აი, მდივანბეგის სახლიც.

შევიდა ჩემი ჩიჩერონე და ერთ წუთს შემდეგ მეც შემიხმო. შევედი და შევათრიე ტომრები. მოვიხადე ქუდი და თაყვანი ვეცი.

— შენ ვინა ხარო?

— „ვაშ მილოსტივი სლუგა“-მეთქი. *)

— შენი გვარიო?

— ნანსენი გახლავართ-მეთქი.

— როგორ ნანსენიო?

— ისე, რომ ჩემს მეტი ამ საქმისთვის ჯერ აქ არავინა გხლებია და ეს გზა პირველათ მე გავაკვლიე-მეთქი.

*) ისმინე ვ. მ—დის „რეხი“.

— მერე რა გინდა, თქვიო.

მეც დავიწყე ლექსათ:

ამაო ამა სოფელმა,
მუხთალმა დაუნდობელმა,
თვალი რომ მიძღვნა, მომართვა,
შეშურდა ისევ წამართვა...

— რაო, სოფელმა წაგართვაო?—მკითხა მდივანბეგმა და წარბი შეიკრა.

— დიაღ-მეთქი, მოვახსენე.

— მერე როგორ შეუძლია სოფელს, რომ წაგართვასო, რა არის სოფელიო, ნება არა აქვს სოფელს, რომ იყოსო, არ უნდა იყოს სოფელი, როზგი სოფელსაო!..

დავემხე მაშინვე, მოვეხვიე მუხლზე და რაც „სოფელმა“ შემარჩინა, წალის ყელში ჩუმათ ჩაუდე.

— ვენაცვალე შენ სამართალს, ოღონდ სოფელი ნუ იქნება, ბძანე, რომ არ იყოს სოფელი, ე „თვალი რომ მომცა და წამართვა“, ოღონდ ის კი დამიბრუნე, და ხომ მაინც შენი ყურ-მოჭრილი ყმა ვარ, როგორც გინდა მიმსახურე-მეთქი.

— მერე და თუ თითონ მოგცა, როგორღა წაგართვაო?—მკითხა.

— შეშურდა, ისე წამართვა,—მეთქი, მოვახსენე.

— რა ნება ჰქონდაო?

— არაფერი ნება არა ჰქონდა, მაგრამ ნებას ვიღა კითხულობს, სოფელი ძალაობს და განა არ მოგეხსენება, ძალა აღმართსა ხნავს-მეთქი.

— მე ვასწავლი როგორც უნდა მოხვნაო!..

აქ ჩემმა ჩიჩერონემ თვალი მიყო.

— აგრე, შენი სამართლის ჭირიმე—მეთქი, სოფელი ძალაობს, მე ხომ მიწასთან გამასწორა, მაგრამ შენც ბევრი გაგინა-მეთქი. თორემ აი, ქაღალდიც გახლავთ-მეთქი.

ამ დროს ჩემი იმპრესარიო ეცა ტომრებს, უნდოდა „ვეშჩევსტვენოე დოკაზატელსტვო“ წარმოედგინა, მაგრამ ორივე ტომარას სირცხვილის ცეცხლი მოჰკიდებოდა და იწოდენ.

დავრჩით „უდოკაზატელსტვოთ“.

მდივანბეგი სუ კბილებს აკრაჭუნებდა და პირიდან ცეცხლს აფრქვევდა, თვალით როზგს ეძებდა.

— კარგი წადიო, მე ვიცი და იმათაო! შენ მართალი ყოფილხარ, ის „თვალი“ შენიაო.

გამოვბრუნდით და როგორც დავძახე „მოვდივართ, მოგვიხარია“-მეთქი და უეცრათ თვალები კი დავაჭყიტე, თურმე ესეც სიზმარი არ გამოდგა! მაგრამ

თუ არ სიზმრით მაშ რით დასტკბეს
უიმედო სიყვარული?

არიმანი.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

განცხადება

თფილისის სათავად-აზნაურო სკოლისა.

1) მდგომარე წლის ენკენისთვისათვის თფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში არის სულ ორმოცდა ხუთი ვაკანსია (45): პირველ განყოფილებაში—40 (7 და 8 წლის ყმაწვილებისათვის) და მეორე განყოფილებაში—5 (8 და 9 წლ. ყმაწვ.); დანარჩენ განყოფილებებში და პროგიმნაზიულ კლასებში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის.

2) 45 ვაკანსიიდან 42 არის დანიშნული გარედან მოსიარულებისათვის და სამი არის საზოგადოების ნახევარ ხარჯზე.

3) ვინც საზოგადოების ნახევარ ხარჯზე იქნება მიღებული უნდა შემოიტანოს წელიწადში ათი თუმან-ნახევარი შემოსვლისთანავე და ნახევარი იანვარში.

გარედან მოსიარულეს გარდახდება წელიწადში სწავლის ფასი თორმეტი მანეთი: ექვსი ენკენისთვეში და ექვსი იანვარში.

4) ვისაც სურს მიღებულ იქმნას საზოგადოების ნახევარ ხარჯზე, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთათ შემდეგი დოკუმენტები: ა) წლოვანების (ნათლობის) მოწმობა, ბ) სიღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან, გ) მოწმობა თფილისის სათავად-აზნაურო ბანკიდან, რომ იგი ირიცხება ხსენებული ბანკის დამფუძნებელთა შორის, დ) ყვავილის აცრის მოწმობა.

5) ვისაც გარედან მოსიარულეთ სურს შემოსვლა, მისთვის საჭიროა იგივე დოკუმენტები, გარდა დამფუძნებლობისა.

6) უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველნი მიშვებულ იქმნებიან წილის ყრით. წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოთ ისინი რომელნიც, წარმოადგენენ ყველა საჭირო დოკუმენტებს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანების შესაფერ კლასისათვის.

7) ვინაიდგან პანსიონში შემომსვლელთათვის მცირეა ვაკანსიების რიცხვი და მსურველი კი ბევრია, სკოლის გამგე კომიტეტი იძულებული იქნება დაითხოვოს ის პანსიონერები, რომლებზედაც წინა წლის ფული არის დარჩენილი, იმისთვის რომ ადგილი დაუცალოს ახლათ შემომსვლელებს. ამიტომ სკოლის მთავრობა თხოვს მშობლებს, რომელთაც სრულიად არა აქვთ შემოტანილი სწავლა-აღზრდის ფასი, რომ უთუოთ შემოიტანონ პირველის ენკენისთვისათვის, რაც არის მათზე დარჩენილი, თორემ მათი შვილები უსათუოთ იქნებიან დათხოვნილი პანსიონიდან.

8) შესაძლებელია სეკტემბერში, მოწაფეების ხელ მეორე გამოცდას შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულ საკუთარ ხარჯზე ისურვებს პანსიონში შემოსვლას ან ნახევარ ხარჯზე. ვინც საკუთარ ხარჯზე შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი—ათი შემოსვლისთანავე და ათი იანვარში.

9) თხოვნა უნდა შემოვიდეს სეკტემბრის პირველ რიცხვამდის. ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგი ადრესით: Въ Тифлисъ. Завѣдывающему Тифлисской Дворянской Школой, на Лабораторной ул. въ д. Гургинбегова.

10) სეკტემბრის, 2, 3 და 4 რიცხვებში მოხდება მისაღები ეგზამენები და ხელ მეორე გამოცდა ზოგიერთ მოწაფეებისა. ხუთ სეკტემბერს დაიწყება სწავლა.

დათხოვნილ იქმნებიან აგრეთვე ის პანსიონერებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისთანავე არ წარმოადგენენ მომავალ $18^{96}/_{97}$ სასწავლო წლის ფულის ნახევარს. (3—1)

Доз. ценз. Тифлисъ, 13 Іюля 1896 г. — Тип. М. Д. Ротиніанца სტამბა, მ. დ. როტინიანცისა Гол. пр., № 41.